საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N536 2026 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

2026 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოში 2026 წლის რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მევენახეობის ზონების შესაბამის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მევენახეობის ზონების შესაბამის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით

გათვალისწინებული რთვლის საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში, ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

4. ღვინის კომპანიები, რომლებსაც განზრახული აქვთ ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან ელექტრონული ფორმით გაიარონ რეგისტრაცია რთვლის საკოორდინაციო შტაბში.

5. ღვინის კომპანიები და ყურძნის მიმღები პუნქტები, სადაც განხორციელდება კახეთის რეგიონში მოწეული ყურძნის მიღება-გადამუშავება, აღჭურვილი უნდა იყოს:

ა) ელექტრონული სასწორით, გარდა იმ ღვინის კომპანიებისა და ყურძნის მიმღები პუნქტებისა, რომელთაც განზრახული აქვთ არაუმეტეს 100 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება;

ბ) ყურძენში ავტომატური შაქრის მზომი დანადგარით, რომელთანაც ინტეგრირებული იქნება რეფრაქტომეტრი, გარდა იმ ღვინის კომპანიებისა და ყურძნის მიმღები პუნქტებისა, რომელთაც განზრახული აქვთ არაუმეტეს 500 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება.

6. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული რეგისტრაციის, ღვინის კომპანიებისა და ყურძნის მიმღები პუნქტებისათვის შესაბამისი პირობების დადგენა.

7. შპს მოსავლის მართვის კომპანიამ (ს/ნ: 405406109) უზრუნველყოს 2026 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის ჩამბარებელი მევენახე ფიზიკური პირებისაგან კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნის: 1,50 ლარად – კონდიციური, შაქრიანობა არანაკლებ 22% და დაუზიანებელი; 0,90 ლარად – არაკონდიციური, შაქრიანობა 17%-იდან – 22%-მდე ან/და ნაწილობრივ დაზიანებული (დაავადებული); 0,30 ლარად – არაკონდიციური

– შაქრიანობა 17-%-მდე ან/და დაზიანებული (დაავადებული), ხოლო „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართული ვაზის ჯიშისგან მოწეული სხვა ყურძნის: 1,30 ლარად – შაქრიანობა არანაკლებ 20% და დაუზიანებელი; 0,80 ლარად არაკონდიციური – შაქრიანობა 17%-იდან – 20%-მდე ან/და ნაწილობრივ დაზიანებული (დაავადებულია); 0,30 ლარად – არაკონდიციური – შაქრიანობა 17-%-მდე ან/და დაზიანებული (დაავადებული), მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.

8. საქართველოში მოწეული ყურძნის ჩაბარება/მიღება რთვლის მიმდინარეობისას განხორციელდეს სააგენტოს მევენახეობის კადასტრის ბაზის შესაბამისად.

9. ეთხოვოთ მევენახეობის ზონებში არსებულ მუნიციპალიტეტებს, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ, სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ყურძნის ჩამბარებლებზე ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობების გაცემა.

10. რთვლის მიმდინარეობისას ყურძნის ჩაბარება/მიღება შპს მოსავლის მართვის კომპანიაში (ს/ნ: 405406109), საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ ყურძნის ჩამბარებელზე გაცემული ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობის შესაბამისად.

11. ღვინის კომპანიების მიერ ყველა კატეგორიის ღვინის წარმოება დასაშვებია მხოლოდ რთვლის საკოორდინაციო შტაბის მიერ აღრიცხული ყურძნისგან.

12. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების დასამზადებლად განკუთვნილი ყურძნის ჯიშის მოსავლიანობა 1 ჰა ვენახიდან განისაზღვროს ამ ღვინისათვის დადგენილი წარმოების სპეციფიკაციის მაჩვენებლის შესაბამისად.

13. ღვინის კომპანია ვალდებულია, მოახდინოს ყურძნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჭაჭის გამოხდა ან მისი სხვა სახით გამოყენება/განადგურება და არ დაუშვას ჭაჭის ფიზიკური პირებისთვის გადაცემა.

14. ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს 2026 წლის რთვლის პერიოდში, ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ადგილების გამოყოფა.

15. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 03) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირების (შემდგომში – ყურძნის ჩამბარებელი) მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტომ უზრუნველყოს ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისგან ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირისგან, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ხვანჭკარის მიკროზონაში მოწეული 1კგ ალექსანდროული ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, ღვინის კომპანიებზე (მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიაზე) სუბსიდიის გაცემა, 4,00 ლარის ოდენობით.

16. ამ განკარგულების მე-15 პუნქტში მითითებული სუბსიდიის მიღების უფლება აქვს ღვინის კომპანიას, რომელიც გაივლის რეგისტრაციას რთვლის საკოორდინაციო შტაბში და:

ა) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის დაწყებამდე სააგენტოსთან გააფორმებს ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) 2026 წლის რთვლის განმავლობაში შეისყიდის და გადაამუშავებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ხვანჭკარის მიკროზონაში არანაკლებ 3 (სამი) ტონა ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენს;

გ) შესყიდული 1კგ ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის სანაცვლოდ, ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 8,00 ლარს;

დ) 2026 წლის 1 დეკემბრამდე სააგენტოს წარუდგენს:

დ.ა) ყურძნის ჩაბარების თაობაზე ყურძნის ჩამბარებელსა და ღვინის კომპანიას შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სააგენტოს, ღვინის კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ყურძნის ჩამბარებელი;

დ.ბ) ყურძნის ჩამბარებლისთვის, ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის 1კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, არანაკლებ 8,00 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

17. იმ შემთხვევაში, თუ ღვინის კომპანიას არ აქვს დასრულებული ყურძნის მიღების პროცესი და სააგენტოსათვის წარდგენილ განზრახვაში დაფიქსირებული აქვს არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის მიღების შესახებ ინფორმაცია, მას უფლება აქვს, მიიღოს სუბსიდიის თანხა, რისთვისაც ღვინის კომპანია ვალდებულია, 2026 წლის რთვლის მიმდინარეობის პროცესში წარადგინოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია (ბენეფიციარი – სააგენტო), რომლის ოდენობაც 10%-ით უნდა აღემატებოდეს ღვინის კომპანიის მიერ მისაღები სუბსიდიის თანხას.

18. ღვინის კომპანიაზე ამ განკარგულების მე-15 პუნქტში მითითებული სუბსიდია გაიცემა ამავე განკარგულების მე-16-მე-17 პუნქტებით

გათვალისწინებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

19. ღვინის კომპანიის მიერ ამ განკარგულებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ღვინის კომპანიის მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიის თანხა სრულად მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

20. დაევალოს სააგენტოს ამ განკარგულების მე-7 პუნქტის უზრუნველსაყოფად „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 03) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში შპს მოსავლის მართვის კომპანიის (ს/ნ: 405406109) ანგარიშზე სუბსიდიის სახით 60 000 000 (სამოცი მილიონი) ლარის მიმართვა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე